

## ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა

1. დაფინანსების წყარო:  
ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.
2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანოები:  
ვანის მუნიციპალიტეტის მერიის უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისია (შემდგომში - კომისია) და ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური (შემდგომში - სამსახური).
3. პროგრამის მიზანი:  
ბენეფიციართა ბინის ქირით უზრუნველყოფა
4. დახმარების მიმღებები:  
პროგრამით ისარგებლებენ:
  - ა) ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი“-ს საფუძველზე რეგისტრირებული პირები/ოჯახები;
  - ბ) ოჯახური ძალადობის შედეგად დაზარალებული, საცხოვრებელი ფართის არმქონე პირები და მათი შვილები;
  - გ) სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული, საცხოვრებელი ფართის არმქონე პირები.
5. ბინის ქირის ოდენობა:  
ბინის ქირის ოდენობა, უძრავი ქონების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, განისაზღვრება შემდეგნაირად:
  - ა) ქ. ვანის ტერიტორიაზე - არაუმეტეს 120 (ასოცი) ლარი თვეში;
  - ბ) შუამთის, ზეინდრის, დიხაშხოს, მთისძირის, ტობანიერის, ციხესულორის, ზედავანის, სალხინოს, ბზვანის, ამაღლების, გორას ადმინისტრაციულ ერთეულებში - არაუმეტეს 100 (ასი) ლარი თვეში;
  - დ) ყუმურის, მუქედის, გადიდის, სულორის, ძულუხის, საპრასიის, ფერეთას, სალომინას, უხუთის ადმინისტრაციულ ერთეულებში - არაუმეტეს 80 (ოთხმოცი) ლარი თვეში;
6. დამატებითი ინფორმაცია:
  - ა) პროგრამით მოსარგებლე, უსახლკარო პირთა დაკმაყოფილების რიგითობა განისაზღვრება კომისიის მიერ, „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი“-ს მე-4 მუხლით დადგენილი შეფასებისა და რიგითობის პირობების გათვალისწინებით;
  - ბ) ოჯახური ძალადობისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული პირები პროგრამით ისარგებლებენ ურიგოდ;
  - გ) საცხოვრებელი ფართის/ბინის მოძიების ვალდებულება ეკისრება ბენეფიციარს, რომელიც მესაკუთრესთან/მოსარგებლესთან გაფორმებულ ხელშეკრულებას წარუდგენს სამსახურს;

დ) კომისიის გადაწყვეტილების და სამსახურის მიერ მოძიებული დამატებითი მასალების საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მერი გამოსცემს ბრძანებას უსახლკარო პირების აღნიშნულ პროგრამაში არაუმეტეს ორი წლის ვადით, ხოლო ოჯახური ძალადობისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული პირების არაუმეტეს ექვსი თვის ვადით ჩასმისა და ქირის განსაზღვრული ოდენობის თაობაზე;

ე) საცხოვრებელ ფართში/ბინაში კომუნალური გადასახადების გადახდის ვალდებულება ეკისრება ბენეფიციარს.

7. მოსალოდნელი შედეგები:

ბენეფიციართა მატერიალური თანადგომა;

8. შეფასების კრიტერიუმი:

ბენეფიციართა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი სტიმულირება.